ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1385262

ნომერი: AR1235033

თარიღი : 07.07.2014

გაცემის თარიღი : 14.07.2014

გაცნობის თარიღი : 15.07.2014

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ტრანსპორტი , N 1 , (ნაკვ.52/3) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მიხეილი ჯიქურაშვილი პ/ნ 01024029260
- თბილისი ბახტრიონის ქ. N 11 ბ. 74

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა ახალი მშენებლობა
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა დემონტაჟი

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლის პასუხადაც გაცნობებთ შემდეგს:

თქვენს დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთსა და მიმდებარე ტერიტორიაზე დამუშავებულია განაშენიანების რეგულირების „ჩარჩო-გეგმა“, რომელიც განსაზღვრავს ამ ტერიტორიების ქალაქმშენებლობითი განვითარების სტრატეგიულ მიმართულებას, დაზუსტებულ ზონებს და ქვეზონებს, ძირითად სატრანსპორტო მაგისტრალებს, მათ მიმართულებებს, კავშირებსა და კატეგორიებს. ჩასატარებელი სამუშაოები შეუსაბამობაშია ზემოაღნიშნულ „ჩარჩო გეგმასთან“ და ეწინააღმდეგება ამ დოკუმენტით განსაზღვრულ განვითარების ძირითად პრინციპებს. ამასთან, საპროექტო ტერიტორია წარმოადგენს მნიშვნელოვან სატრანსპორტო კვანძის მოწყობის არეალს, რომლის ფარგლებშიც შეზღუდულია ყველა სახის შენობა–ნაგებობის განთავსება. გარდა ამისა, საპროექტო ნაკვეთები განლაგებულია ჯიხურების აკრძალვის ზონაში, სადაც დაუშვებელია ჯიხურის ტიპის ობიექტების განთავსება. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ქ. თბილისის ფარგლებში გამოიყოფა განსაკუთრებული სამშენებლო რეგულირების ზონა, რომელიც გამოირჩევა სამშენებლო რეგულირების შესაბამისი ხარისხით და ამ ზონისავის შემუშავებული დაცვის რეჟიმის კონკრეტული პირობებით. აღნიშნულის და იმის გათვალისწინებით, რომ ჯიხურები ვერ უზრუნველყოფს ისეთი სამშენებლო ხარისხის ჩამოყალიბებას, რომელიც მისადაგებული იქნება ამ ზონისათვის და ამასთანავე იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. #57 დადგენილების 65-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული უფლებამოსილია თავის სამოქმედო ტერიტორიაზე განსაზღვროს შესაბამისი ზონები და პირობები, სადაც I კლასს დაქვემდებარებილი შენობა–ნაგებობათა გარკვეული სახეობების განთავსება/მშენებლობა აკრძალულია და ამასთანავე იმის მხედველობაში მიღებით, რომ ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახური ქ. თბილისის მასშტაბით, როგორც არქიტექტურულ-სამშენებლო სფეროში ერთადერთი ერთიანი საჯარო ხელისუფლების განმახორციელებელი ორგანო არათუ უფლებამოსილია, არამედ ვალდებულია იზრუნოს ქალაქის მხატვრული იერსახის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, რათა სახელმწიფომ და საზოგადოებამ არ მიიღოს შენობა-ნაგებობათა და საერთო ჯამში ქალაქის დამახინჯებული იერსახე. ამასთანავე გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ არქიტექტურის სამსახურის საქმიანობის ძირითადი მიზანია მის კომპეტენციას მიკუთვნილ საკითხებთან დაკავშირებით ქ. თბილისის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებში ერთიანი საჯარო ხელისუფლების განხორციელება, სამსახურის უფლებამოსილებაში შედის ქალაქის ფუნქციური ელემენტების განვითარების პროცესის მოდელირება, ურბანული ქსოვილის ცალკეული მახასიათებლების ანალიზი, საპროექტო ვარიანტების და მიღებული გადაწყვეტილებების შეფასება. სამსახურს, მისი უფლებამოსილებიდან გამომდინარე შესაძლებლად არ მიაჩნია გასცეს შესაბამისი წერილობითი თანხმობა დროებითი (საძირკვლის არ მქონე) შენობა–ნაგებობების მოწყობაზე, მით უფრო იმის გათვალისწინებით, რომ წარმოდგენილი სახით პრეცენდენტის დაშვება შესაძლებელია შემდგომში გახდეს ანალოგიური მოთხოვნების წარმოდგენისა და მსგავსი ფაქტების დამკვიდრების საფუძველი, რაც მნიშვნელოვნად უარყოფით გავლენას იქონიებს ქალაქის და ამ კონკრეტული ტერიტორიის განაშენიანება/განვითარებაზე.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.